ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2025 წლის 26 დეკემბერი

ქ. ბორჯომი

ქალაქ ბორჯომის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 35-ე, 42-ე, 43-ე მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N261 დადგენილებების შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული:

1. ქალაქ ბორჯომის გენერალური გეგმის;

ა) ტექსტური ნაწილი (დანართი №1);

ბ) ქალაქ ბორჯომის გენერალური გეგმის რეგლამენტი (დანართი №2);

გ) ქალაქ ბორჯომის გენერალური გეგმის გრაფიკული ალბომი (დანართი №3);

2. ქალაქ ბორჯომის განაშენიანების გეგმის;

ა) ქალაქ ბორჯომის განაშენიანების გეგმის ტექსტური ნაწილი (დანართი №4)

ბ) ქალაქ ბორჯომის განაშენიანების გეგმის მართვის რეგლამენტი (დანართი №5);

გ) ქალაქ ბორჯომის განაშენიანების გეგმის გრაფიუკული ალბომი (დანართი №6);

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალაქ ბორჯომის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე” 2019 წლის 29 ნოემბრის №94 დადგენილება (ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრციის კოდი 010250020.35.139.016352, 05/12/2019წ).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ფერაძე**